

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
რეგისტრაციის ნომერი
090.013.004.142

**საქართველოს დამღვევის
სახელმწიფო მედამხედველობის
სამსახურის უფროსის ბრძანება N 13
2000 წლის 17 მარტი ქ. თბილისი**

**საპენსიო სქემის წესების დამტკიცების
შესახებ**

“არასახელმწიფო საპენსიო დამღვევისა და უბრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის მოთხოვნის შესრულების მიზნით ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს “საპენსიო სქემის წესები“ (თან ერთვის).
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. ცერცვაძე

საპენსიო სქემის წესები

მუხლი 1

“საპენსიო სქემის წესები“ მომზადებულია “არასახელმწიფო საპენსიო დამღვევისა და უბრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონის მე-40 მუხლის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად და განსაზღვრავს საპენსიო სქემის დამფუძნებლის მიერ საპენსიო სქემის წესების შედგენის და დამტკიცების ძირითად მოთხოვნებს.

მუხლი 2

1. საპენსიო სქემის დამფუძნებლის მიერ მომზადებული საპენსიო სქემა უნდა შეიცავდეს შემდეგ საკითხებს:

ა) საპენსიო სქემის სახე (განსაზღვრული შენაგანების ოდენობით ან განსაზღვრული გასაცემი პენსიის ოდენობით);

ბ) საპენსიო სქემის დამფუძნებლის დასახელება, ადგილმდებარეობა, საბანკო რეკვიზიტები;

გ) საპენსიო სქემაში მონაწილეების ჩართვის პირობები;

დ) საპენსიო სქემის დამფუძნებელთა, მესახარეთა და მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები;

- ე) საპენსიო სქემიდან მონაწილის გასვლის პირობები;
 - ვ) საპენსიო სქემის მონაწილის სხვა საპენსიო სქემაში გადასვლის პირობები;
 - ზ) საპენსიო სქემის მონაწილის საპენსიო დანაგროვებზე საკუთრების უფლების და მემკვიდრეებზე ამ უფლების გადაცემის პირობები;
 - თ) პენსიის ოდენობის განსაზღვრის პირობები;
 - ი) პენსიის გაცემის პირობები;
 - კ) საპენსიო სქემის მონაწილის ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშის წარმოების და საპენსიო სქემის მონაწილის ინფორმირების პირობები;
 - ლ) აქტუალური გათვლების მეთოდიკა;
 - მ) საპენსიო დანაგროვის ფონდის ფორმირების და ხარჯვის პირობები;
 - ნ) საპენსიო დანაგროვის ინვესტირების წესები და პირობები (საინვესტიციო დეკლარაცია);
 - ო) საპენსიო სქემის დამფუძნებლის მიერ საპენსიო დანაგროვის ინდექსაციის პირობები;
 - პ) აქტივების მმართველი კომპანიის და სპეციალიზებული დეპოზიტარის დანიშვნის, შეცვლის და მათთვის ანაზღაურების გაცემის წესები და პირობები;
 - ჟ) საპენსიო სქემის მენაბრისათვის და მონაწილისათვის საპენსიო სქემის საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის პირობები;
 - რ) საპენსიო სქემაში ცვლილებებისა და დამატებების შეგანის წესი;
 - ს) საპენსიო სქემის შეწყვეტის წესი.
3. საპენსიო სქემა შეიძლება შეიცავდეს სხვა მონაცემებსაც.

მუხლი 3

საპენსიო სქემა დამოწმებული უნდა იყოს საპენსიო სქემის დამფუძნებლის ხელმოწერითა და მრგავალი ბეჭდით.